ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 48 12
28/02/2019

12-48-4-201902281218

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 84 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს არასაკმარისად.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი
დამტკიცებულია:
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 28 თებერვლის N48 12 განკარგულებით

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს შესრულებული იქნა და განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა ქ.ტყიბულში გორგიძის ქ. N10-ის მიმდებარედ 466 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.01.28.067); რომელზედაც ამჟამად განთავსებულია საბავშვო ბაღი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ძირითადი ქონების სახით გადმოგვეცა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა ქ. ტყიბულში - ტყვარჩელის, გამსახურდიასა და რუსთაველის ქუჩებზე განთავსებული გარე განათების კონსტრუქციები.

ა/ო რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალის“ მიერ უსასყიდლოდ გადმოგვეცა მოწამეთაში ცენტრალური გზიდან, ტაძრამდე მისასვლელ გზაზე და მის მიმდებარედ დამონტაჟებული გარე განათების ბოძები, საინფორმაციო ბანერები, ნაგვის ურნები და მოსასვენებელი სკამები, რაზედაც გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სარგებლობის წესით გადმოგვეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე 5604 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ნანგრევი), შემდგომში მისი დემონტაჟისა და ტერიტორიის მოწესრიგების მიზნით, 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სარგებლობის წესით გადმოგვეცა ქ. ტყიბულში ტყვარჩელის ქ. N51-ში მდებარე 18313 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, კომუნალური მეურნეობის მოძრავი საშუალებების გათავსების მიზნით, არსებობის ვადით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა ე/წ „ცხრაჯვარის ტერიტორიაზე მდებარე 58845 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გადმოგვეცა ძრითადი ქონების სახით.

სახელმწიფოს მიერ გადმოგვეცა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად (დამატებითი ქონების სახით) დარეგისტრირდა ასევე ქ. ტყიბულში, გამსახურდიას ქ. N8 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე 217,05 m^2 არასაცხოვრებელი ფართი, რომელშიდაც განთავსებულია ეროვნული გალერეის ფონდები.

სახელმწიფოს მიერ გადმოგვეცა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად (დამატებითი ქონების სახით) დარეგისტრირდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუეთში მდებარე 93 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა(წისქვილი).

სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადმოგვეცა ავტომანქანა ტოიოტა ფორტუნერი, რომელიც დარეგისტრირდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

სამსახურის მიერ მომზადდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ა(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „კომუნალური გაერთიანებისათვის“ მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ;
- ა.(ა.)ი.პ „კომუნალურ გაერთიანებისათვის“ ნაგავმზიდების თხოვების ხელშეკრულების გაფორმებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას და სარგებლობით უფლების გადაცემისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფორმის დამტკიცების შესახებ

მომზადდა და მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა პროექტი ა.(ა)ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და ა.(ა)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსისათვის გარკვეული ინვენტარის გადაცემაზე თანხმობის მიღების თაობაზე, ა.(ა)ი.პ კომუნალური გაერთიანებისათვის ნაგვის ურნების გადაცემისათვის თანხმობის მიღების თაობაზე.

გაფორმდა თხოვების ხელშეკრულება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ „კომუნალური გაერთიანება“- სთან ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით:

- ნაგავმზიდი, მარკა - MERCEDES-BENZ, AXOR 1824, გამოშვების წელი 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112181267, სახელმწიფო ნომერი GG 104 GO;
- ნაგავმზიდი, მარკა - MERCEDES-BENZ, ATEGO 1318, გამოშვების წელი 2016, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97236210115475, სახელმწიფო ნომერი XQ 118 QX;
- თვითმცლელი, მარკა - ZIL, მოდელი 431410, გამოშვების წელი 1991, საიდენტიფიკაციო ნომერი 3182210, სახელმწიფო ნომერი LN 832 NL;
- გაფორმდა თხოვების ხელშეკრულება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ „კომუნალური გაერთიანება“- სთან ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით:
- ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „ბოგდან A 0921/21“ მარკის ავტობუსი, საიდენტიფიკაციო ნომერი Y7BA092016B000967, სახელმწიფო ნომერი JO 337 OJ;

ა(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „კომუნალური გაერთიანებას“ გადაეცა ბალანსზე 100 (ასი) ცალი ნაგვის ურნა, (მასალა: მეტალი, მოცულობა 1100 ლტ.) საბალანსო ღირებულება 76 874,74;

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ტყიბულის მუნიციპალიტეტს შორის 2017 წლის 15 თებერვლის N17 ხელშეკრულების ფარგლებში გადმოგვეცა 50 ნაგვის ურნა (კონტეინერი), რაზედაც გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის, გაფორმდა უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულება, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში მდებარე 1206 m^2 (ს/კ 39.03.27.516)არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით, მასზედ საზოგადოებრივი ცენტრის მოწყობის მიზნით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას შორის, გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, ქ. ტყიბულში ქუთაისის ქ. N4 შენობის მეორე სართულზე არსებული 60 კვ.მ ფართის გადაცემასთან დაკავშირებით.

გაფორმდა იჯარის ხელშეკრულებები შემდეგ პირებთან:

	დასახელება	ფართი	მოიჯარე	თანხა	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	სარგებლობის ფორმა
1	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათში მდებარე ადმინისტრაციული შენობა (ს/კ 39.06.25.085)		აკაკი ბუხაიძე	120 ლარი (წლიური)	2 წელი	იჯარა
2	ქ. ტყიბულში განთავსებული გარე განათების ბოძები	1700ც	შპს მაგთიკომი	3400 ლარი (წლიური)	5 წელი	იჯარა

გაუქმდა თხოვების ხელშეკრულებები:

1. ა.(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული კომპლექსი“;

   მსუბუქი, მაღალი გამავლობის ავტომანქანა ,,ნივა, ვაზ-21214“, სახელმწიფო ნომერი - RVR – 474,

2. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“

   მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანა ,,მიცუბისი პაჯერო 1,8 io,

გაუქმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ა.(ა)ი.პ ნაბიჯი ტყიბულის დამფუძნებელი გიგა სოფრომაძეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებები, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული 17 კვ.მ და ქ. ტყიბულში ძმ. ვარდოსანიძეების ქ. N29-ში მდებარე შენობის გადაცემასთან დაკავშირებით.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი მერაბი ცქიფურიშვლს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება;
3. ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და უჩა დალაქიშვილს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება;

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხისა და გეგმის შესაბამისად განხორციელდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის საშუალებით.

ელქტრონული აუქციონის დასრულების შემდეგ გაფორმდა აუქციონის ოქმი, ნასყიდობის ხელშეკრულება და გადაეცა საკუთრების მოწმობა შემდეგ პირებს:

N	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ2	აუქციონში გამარჯვებული	ქონების ღირებულება აუდიტის დასკვნით (ლარი)	გაყიდვის ფასი
1	ქ. ტყიბულში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ცოფის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთი	39.01.28.066	3154	ნინო ქუთათელაძე	17327	28127
2	ქ. ტყიბულში, გამსახურდიას ქუჩა N49-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთი	39.01.27.134	48	მიხეილ აბესაძე	322	847
3	ტყიბულში, ნ. ფორჩხიძის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთი, ს/კ	39.01.21.026	49	დავით სოფრომაძე	177	677
4	ავტობუსი კავზი			ვახტანგი ტაბატაძე	400	440
5	ავტობუსი პაზი			ვახტანგი ტაბატაძე	500	550
6	ავტობუსი დონგ ფენგი			ზვიად კიღურაძე	2250	2750
7	შავი ლითონის ჯართი		1600 კგ	ჯონი კიკნაძე	560	840
8	ავტომანქანა ტოიოტა რავ 4			რამაზ შუბითიძე	2500	3600

9	მეორადი ალუმინის სახურავი 100 ც			ჯანიკო დარსაძე	1100	1210
10	მეორადი ალუმინის სახურავი 250 ც			ელგუჯა კუბლაშვილი	2750	3025
11	ქ.ტყიბულში თაბუკაშვილის ქუჩა N2 მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 39.01.30.024	712		საჩინო ბარბაქაძე	10000	11000
12	მეორადი ალუმინის სახურავი 50 ც			ზურაბი ქოქოსაძე	550	575
13	მეორადი ალუმინის სახურავი 100 ც			მამუკა სხვიტარიძე შპს ტრანსკავკასიის ენერჯი	1100	1150
14	ქ.ტყიბულში ხრესილის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 39.01.30.040	300		იმედა მეშვილდიშვილი	2250	2500
15	ავტომანქანა ოპელ ვექტრა 2.0 i			დავითი ჭუმბურიძე	475	523
16	მეორადი მოთუთიებული სახურავი 20 ც			ნიკა გუგეშაშვილი	80	140
17	მეორადი მოთუთიებული სახურავი 40 ც			ნიკა გუგეშაშვილი	160	256

სულ აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებით შემოსულმა თანხამ შეადგინა 59 370 ლარი, რაც 9370 ლარით მეტია 2018 წლის გეგმასთან შედარებით.

სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 აპრილის N47 874 ბრძანების საფუძველზე შექმნილი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის კომისიაში, კომისიამ განახორციელა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების შერჩევითი ინვენტარიზაცია,რომლის შედეგები არის აღრიცხული და დაზუსტებული. შემლებისდაგავარად მოხდა უძრავი ქონების დასურათება.

დამოუკიდებელ აუდიტს მივმართეთ უძრავი ქონების (დუმბაძის ქ. N13-ში მდებარე და ძმ.ვარდოსანიძეების ქ. N29-ში მდებარე ამორტიზებული შენობების (ყოფილი ბაღი)) საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მოთხოვნით. შეფასებული იქნა ასევე მოძრავი ქონება - ავტომანქანა ნივა სახელმწიფო ნომერი LCL – 878, შევროლე ლაცეტი სახელმწიფო ნომერი FOT – 355, აღნიშნული ქონებები შეტანილი იქნება 2019 წლის საპრივატიზაციო ნუსხაში.

შსს ტყიბულის რაიონული სამმართველოდან განხორციელდა სარგებლობის უფლებით გადაცემული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნისან ნავარასა და შევროლე ლაცეტის დაბრუნება, ამჟამად ორივე მათგანი არის გაუმართავ მდგომარეობაში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის (შერწყმის) დასრულების თაობაზე“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის N47 974 და 01 ივნისის N47 1037 ბრძანებების საფუძველზე, განხორციელდა ხელშეკრულებების გაუქმება აღნიშნულ ა.(ა.)ი.პ-ებთან და გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები.

2018 წლის დეკემბრიდან დღემდე, სამსახურის თანამშრომლები აგრეთვე ახორციელებენ ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის შემოსული საამშენებლო მასალების მიღება-ჩაბარებას, აღრიცხვასა და გაცემას შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებით.